არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა (დანართი)

ჭრელი აბანო

აბანოს ქ. №2



ჩრდილოეთი პორტალი, 2023წ.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010506225

1. სახელწოდება - ჭრელი აბანო 2. ადგილმდებარეობა / მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, აბანოს ქ 2 3. სახეობა - არქიტექტურის 4. თარიღი - მე-18 საუკუნე

სააღრიცხვო ბარათი, 2007წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ პ ს
„ძველი უბანი“
ივნისი
2023

შესავალი

ჩვენს მიერ 2008 წელს ჩატარდა ე.წ. „ჭრელი აბანოს“ (ძვ. ორბელიანების აბანო) ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა. იმ დროისთვის საპროექტო წინადადებით **განსაზღვრული იყო აბანოს დაზიანებული ნაგებობების ნაცვლად ძველ გეგმარებით და სტრუქტურულ საფუძველზე ახალი მოცულობების მოწყობა.**

2013 წელს გაკეთდა **„ჭრელი აბანოს“ რესტავრაციისა და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი – აბანოს არსებობის ერთ-ერთი ეტაპის (XX ს-ის I მეოთხედის) მხატვრულ-არქიტექტურული სახის მიხედვით.** იმავდროულად ჩვენს მიერ შესრულდა კვლევა და რეკომენდაციები მიმართულია ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

ამჟამად მიმდინარეობს აბანოს მთავარი ფასადის მარჯვენა სვეტის I სექციის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-გამაგრება. ამიტომ, რეკომენდაციებს წარმოგიდგენთ ამ მიმართულებით.

ვინაიდან წიანა კვლევებში დაწვრილებით არის განხილული „ჭრელი აბანოს“ და ზოგადად აბანოთუბნის ისტორიულ-არქიტექტურული რეალიები, ჩვენ აღარ განვმეორდებით და ახალ ნაშრომში მოგაწვდით მხოლოდ იმ აუცილებელ ისტორიულ-არქიტექტურულ მონაცემებს, რაც საჭირო იქნება ჩვენი მოსაზრებების და რეკომენდაციების სათანადოდ გასააზრებლად (ამ ძეგლის ისტორიის სრულყოფილად გასაცნობად კი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი ადრინდელი კვლევა, რომელიც თანდართული იქნება). ასევე მოკლედ ჩამოვთვლით 2008 წლის შემდეგ აბანოში და მის ირგვლივ განხორციელებულ სამუშაოებს.

2008 წლის შემდეგ მოიხსნა აბანოს გვიანდელი მხატვრულად არაღირებული დანამატები:

1. ქალების საერთო აბანოს წაგრძელებული ახალი მართკუთხა მოცულობა ბანზე;
2. ახლად მოწყობილი „საუნა“ ბანზე;
3. აგურის წყობის ორსართულიანი მინაშენი აბანოს დასავლეთ კედელზე (სახელოსნო და ძველი ელექტრომოტორის ოთახები);
4. სამრეცხაოს ორსართულიანი შენობა აბანოს სამხრეთ ნაწილში (ამ შენობის სარდაფი შენარჩუნებულია);

5. თბილისის მერიის მიერ 2011-2012 წლებში წავკისისწყლის ხეობის რეაბილიტაციის ფარგლებში მოიხსნა ბეტონის საფარი „ჭრელი აბანოს“ აღმოსავლეთ კედელთან და გამოჩნდა ისტორიული კედლის საფუძვლები. ამავე დროს მოიხსნა აბანოს კუთვნილი კიდული ნაწილი ხევისკენ აღმოსავლეთ კედელზე და აბანოს ჩრდილო პორტალის წინ მდებარე მოედნის ქვაფენილის ქვემოთ არსებული აბანოს IX ნომრის ნაწილები.



2010წ.



2012წ.

მოკლე ისტორიული ცნობები – **„ჭრელი აბანო“** ქართველ დიდებულთა გვარის ორბელიანების საკუთრებას წარმოადგენდა და **ორბელიანთა აბანოს** სახელით იყო აღნიშნული თბილისის გეგმებსა თუ ჩანახატებზე. ამ აბანოს არსებობა დადასტურებულია XVIIIს-დან, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი უფრო ადრინდელიც იყოს. მას **„ჭრელი აბანო“** ეწოდა XIX ს-ის ბოლოს, როდესაც აიგო აბანოს აფერადებული შორენკეცებიანი ფასადი.

პირველად აბანო აღნიშნულია თბილისის **1782 წლის გეგმაზე მინერალური ცხელი აბანოს** სახელწოდებით. **ორბელიანების აბანოს** სახელწოდებით კი, იგი აღნიშნულია პირველად **1844წლის თბილისის გეგმაზე** და მოიცავს უფრო დიდ ტერიტორიას ვიდრე დღეს.

ეს იყო აბანო, რომელიც ქალებისთვის იყო განკუთვნილი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ – 1921წ. აბანო სახელმწიფო სარგებლობაში გადავიდა და მას **აბანო №8** ეწოდა. ამჟამად კვლავ **„ჭრელი აბანო“** ქვია.

პირველი გრაფიკული გამოსახულებები მხატვარ ნ. ჩერნეცოვის ორი ჩანახატია (1831წ.), რომელზეც გამოსახულია წავკისისწყლის მარცხენა ნაპირი.

„ჭრელი აბანოს“ სტრუქტურის ჩამოყალიბება



1782წ. გეგმა



შანი ციხე-დაბალი, დაბახანა, ხედი სეიდაბადიდან მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრაფიკა 1831წ



შანი ციხე-დაბალი, დაბახანა, ხედი ხიდიდან

მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრაფიკა 1831წ



XIX ს-ის 70-იანი წწ. ფოტო №1
თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი ©



XIX ს-ის 80-იანი წწ. ფოტო №2
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©



XIX ს-ის 70-იანი წწ. ფოტო №3
თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი ©

აბანოს შემდგომი არქიტექტურული სახე ჩანს 1870-იანი წწ-ის სამ ფოტოზე, სხვადასხვა მხრიდან – ფოტოები №1, №3 და №4. როგორც ვხედავთ აბანო წარმოადგენდა დაბახნის მარცხენა ნაპირის კლდეზე შეზრდილ სტრუქტურას, რომელიც სივრცეში ვლინდებოდა აგურით ნაშენი, წაგრძელებული, ბანური გადახურვიანი სოლიდურ მოცულობით და მასზე აღმართული სხვადასხვა დიამეტრის მქონე აგურისავე გუმბათებით. კომპლექსის გეგმარებაში ძირითადი ადგილი ეჭირა ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ, ე.წ საერთო აბანოს, მათი ცენტრალური დარბაზების მოზრდილი გუმბათებით, ხოლო კომპლექსის აღმოსავლეთის ფლანგზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, დაბახანის ხევის გაყოლებით ჩამწკრივებული იყო პრივატულ აბანოთა შედარებით მომცრო გუმბათები. ფოტოზე კარგად გაირჩევა ასევე ვიწრო გასასვლელი ჭრელ აბანოსთან, საცხოვრებელი სახლებით. იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა XIX ს-ის ბოლოს აგებული ჩრდილოეთის პორტალი.



XIX ს-ის 70-იანი წწ. ფოტო №4
თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი ©

ფოტო №3-ზე ჩანს აბანოს ქუჩის ჩამკეტ კედელში მოწყობილი თაღოვანი შესასვლელი ჩრდილოეთიდან. აქედან შევდიოდით ღია დერეფანში, რომლის მარცხენა, აღმოსავლეთ მხარეს პრივატული აბანოები იყო ჩამწკრივებული. დასაწყისში აგურის სამი გუმბათით და შემდეგ ერდოსებური მცირე ღიობებით. დერეფნის მარჯვენა, დასავლეთის მხარეს კი ბანურ გადახურვიანი ოთახები იყო ჩამწკრივებული (ფოტო №4). ამავე ფოტოებზე გამოსახულია ბანზე შემომდგარი ცალქანობიანი ნაგებობა. აბანოს სამხრეთი მონაკვეთი კი, ქალთა ორი აბანოს დარბაზების გუმბათებით, ჩანს №1 ფოტოზე. 1880-იანი წლების №2 ფოტოზე კი კარგად ჩანს აბანოს მთელი კომპლექსი, რადგან უკვე აღებულია შუაში მდგომი ცალქანობიანი ნაგებობა. ასევე მონგრეულია ჩრდილოეთის კედელი თაღოვანი შესასვლელით და შესახვევისკენ მიმდებარე ბანიანი ოთახები. როგორც ჩანს ეს ადგილი მოუმზადებიათ ჩრდილოეთის პორტალის ასაშენებლად.



1900-იანი წწ. ფოტო №5



1900-იანი წწ. ფოტო №6

საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

აბანოს ჩრდილო პორტალი აშენდა 1890-იან წლებში. ამ დროს მოწესრიგდა აბანოს ქუჩის საფარი. წავკისისწყლის (დაბახნის) ხევისკენ გაკეთდა ლითონის მოაჯირი. ქუჩის მეორე მხარეს კი დაზიანებულ ბანიან სახლების ნაცვლად, აშენდა ხის კიდულაივნებიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები.



1910 წ. პროკუდინ-გორსკის ფერადი ფოტო №7



1940-იანი წლები

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება უბნის ამ მონაკვეთში XX ს-ის შუა ხანებში დაიწყო წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვით“ და ფართო სივრცითი არეების შექმნის გზით. ამ დროს გადაიხურა მდ. წავკისისწყალი აბანოს ქუჩის აყოლებაზე. ფოტოზე ჩანს გამონთავისუფლებული უბანი თუმცა ჯერ კიდევ არ არის აღებული სახლი აბანოს ქუჩის ლუწრიცხვებიან მხარეს.

1970-იან წლებში დაიწყო აბანოთუბნის ურბანული მოწესრიგების შემდეგი ეტაპი. ამ დროს განხორციელდა მიმდებარე შენობების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია და ქუჩათა ქსელის მოწესრიგება. რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოებსა და საცხოვრებელ სახლებს. მოხდა ფასადების განახლება და მოიხსნა ზედმეტი მინაშენები. ამავე დროიდან ამ მიკროუბანს აბანოთუბანი ეწოდება.

1980-იან წლებში მოხდა „ჭრელი აბანოს“ რეაბილიტაცია. არქიტექტორ-რესტავრატორ ანატოლი სოლომნიშვილის ხელმძღვანელობით. 1984 წელს შუა აზიელ სპეციალისტებთან ერთად მოხდა „ჭრელი აბანოს“ პორტალის რეაბილიტაცია და პორტალი შეიმოსა ფერადი შორენკეცებით. ყოველივე ამის შედეგად უბანმა მიიღო დღევანდელი ურბანული სახე და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები. აბანოთუბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.

2008 წელს დაიწყო „ჭრელი აბანოს“ ხელახალი რეაბილიტაცია – არქიტექტორ რესტავრატორი ირაკლი გამყრელიძე; ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

პროექტით განსაზღვრული დავალებები შესრულებულია. თუმცა, მოხდა აბანოს რამდენიმე მონაკვეთის დაზიანება;

ამიტომ, ამჟამად მიმდინარეობს აბანოს მთავარი ფასადის დაზიანებული ნაწილების რეაბილიტაციის ახალი პროექტის დამუშავება;

დღევანდელი მდგომარეობა –





ჩრდილოეთის ფასადი, 2023წ.



პროექტი განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „ჭრელი აბანოს“ მთავარი ფასადის მარჯვენა სვეტის საპირე წყობაზე 2023 წლის მარტში გაჩნდა შვეული ბზარები. ატკეჩილია საპირე წყობის მოჭიქული ნაწილი (შორენკეცები) და დეფორმირებულია საპირე წყობა. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის როგორც ძეგლის მდგრადობას ასევე ტურისტების უსაფრთხოებას.



მოჭიქული ნაწილის დაზიანებული მონაკვეთები, 2023წ.

დაზიანებულია პორტალის ჩრდილო-დასავლეთი მარჯვენა სვეტის I სექციის რამდენიმე ნაწილის თაბაშირის ნალესობა და მასზე დამაგრებული, სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურებად გამოსახული ფერადი შორენკეცები.



აბანოთუბანი, 2020წ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩვენი კვლევის მიზანი ამჯერად იყო დაგვედგინა ჭრელი აბანოს ჩრდილოეთი ფასადის სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა, სამშენებლო მასალა და მისი სტრუქტურის არქიტექტურული და მხატვრული ხასიათი **რათა გაირკვეს ფასადის თავდაპირველი სახე და შემუშავდეს რეკომენდაციები აბანოს ამ ნაწილის დაზიანებული მონაკვეთების რესტავრაციისა მისი ავთენტურობის შენარჩუნებით.**

აბანოების მონაკვეთს უბნის „სცენის“ ცენტრალური ნაწილი აქვთ დათმობილი. აბანოთა ბრტყელი სტრუქტურები და ნახევარსფერული გუმბათები ერთიან ფერადოვან ლაქად აღიქმება და ასევე მონაწილეობს საერთო მასშტაბის განსაზღვრაში. „ჭრელ აბანოს“ განსხვავებული სახის მხატვრული დატვირთვა აქვს. პორტალის მოჭიქული სიბრტყით იგი დამოუკიდებელი ფერადი აქცენტია და მონაწილეობს უბნის ამ ფლანგის მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში.

ამგვარად, რესტავრაციის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სასურველი იქნება, არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემდეგ ქმედებათა განხორციელება:

- პირველ რიგში მთავარი პორტალის მოზაიკური ზედაპირის დაზიანებული ნაწილების აღდგენის დროს შენარჩუნებული უნდა იყოს ნაგებობის ავთენტური სტრუქტურა და მისი მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები;

- აბანოს ჩრდილოეთ პორტალი 1890-იან წლებშია აშენებული. აბანომ დასრულებული მხატვრული სახე მიიღო XX ს-ის პირველ მეოთხედში (რესტავრირებულია 1984, 2008, 2013 წწ-ში.) და ნებისმიერი დაზიანება აღსადგენია ამ სამშენებლო ფენის შესაბამისად;

- თავდაპირველი სახის და დაზიანების ხარისხის ზედმიწევნით დასადგენად კი, საჭიროა დამატებითი ზონდაჟების მოწყობა;

- რესტავრაციის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს არსებული ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას, ტრადიციულ დაფერილობას და ბუნებრივ ფაქტურას;

- აუცილებელია რესტავრაციის დეტალური პროექტი, არქიტექტურული ნაწილისა და მხატვრული სახის წარმოდგენით. ამიტომ, სასურველია როგორც პროექტირებაში, ასევე სამშენებლო პროცესში გამოცდილი ატქიტქტორ-რესტავრატორის მონაწილეობა და მეთვალყურეობა, რათა გარანტირებული იყოს მშენებლობის მაღალი ხარისხი და პროექტის ნატურაში სათანადოდ განხორციელება;

- ყოველივე ამის გათვალისწინებით აღდგება ძეგლის დაზიანებული მხატვრულ-არქიტექტურული სახე და ამავე დროს მიკრო უბანს შეუნარჩუნდება თვითმყოფადი არქიტექტურული იერი აბანოთუბნის ზოგად კონტექსტში;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
30. 06. 2023